

ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს 2022 წლის ანგარიში

სსიპ - ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს დებულების თანახმად წარმოგიდგენთ 2022 წლის ანგარიშს სააგენტოს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ.

როგორც თქვენთვის ცნობილია, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს ძირითად მიზანს წარმოადგენს მაიონებელი გამოსხივების მავნე ზემოქმედებისაგან ადამიანისა და გარემოს დაცვა.

ძირითადი მიზნის მისაღწევად სააგენტო ახორციელებს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში საკანონმდებლო აქტების პროექტების შემუშავებას, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას, ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ავტორიზაციასა და ინსპექტირებას, რადიოაქტიური ნარჩენების მართვასა და ბირთვულ ან/და რადიოლოგიურ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებას.

საკანონმდებლო საქმიანობა

როგორც თქვენთვის ცნობილია, რადიაციული დაცვის, ბირთვული უსაფრთხოებისა და დაცულობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო პოლიტიკისა და მარეგულირებელი ჩარჩოს განმსაზღვრელი „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი 2012 წელს იქნა მიღებული. ტექნოლოგიების განვითარების შედეგად წარმოშობილი საჭიროებებისა და მოქმედი რეგულაციების საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის მიზნით, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტომ შეიმუშავა კანონპროექტი რომლის სათაურიც ფორმულირდება შემდეგი სახით - „რადიაციული დაცვის, ბირთვული უსაფრთხოებისა და დაცულობის შესახებ“ საქართველოს კანონი. კანონპროექტის მოსალოდნელი ზოგადი შედეგი მარეგულირებელი რეჟიმის გაუმჯობესებაა მისი ეფექტიანობის უზრუნველყოფის გზით, რაც აუცილებელია ადამიანისა და გარემოს დასაცავად მაიონებელი გამოსხივების მავნე ზემოქმედებისაგან.

როგორც ცნობილია, მაიონებელი გამოსხივების წყაროები (როგორც რადიოაქტიური წყარო, ისე გენერატორი) აქტიურად გამოიყენება განათლებაში, მეცნიერებაში, მრეწველობაში, მედიცინაში, კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის სფეროში და სხვა მიმართულებით და მაშასადამე, ადამიანთა ყოველდღიურობის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. მიზეზი, ამგვარი გამოსხივებისათვის დამახასიათებელი სარგებელია - ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების პოტენციალი. ტექნოლოგიური პროგრესისა და წარმოშობილი საჭიროებების პარალელურად, იზრდება მაიონებელი გამოსხივების წყაროების გამოყენების მასშტაბიცა და რაოდენობაც.

მიუხედავად დამახასიათებელი ბენეფიტებისა, მაიონებელი გამოსხივების წყაროების გამოყენება დაკავშირებულია რისკებთან, გააჩნია რა პოტენციალი, მავნე ზემოქმედება მოახდინოს ადამიანსა და გარემოზე. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ყველა ჩამოთვლილი მიმართულებით წყაროებთან საქმიანობის რეგულირებას. გამოყენებით მიღებულმა სარგებელმა უნდა გადაჭონოს მავნე ზემოქმედების რისკები - აღნიშნული პრინციპის უზრუნველყოფაა რეგულირების, მარეგულირებელი მოთხოვნების დადგენის, შესრულების კონტროლისა და იძულებითი ღონისძიებების იმპლემენტაციის მიზანი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით სააგენტომ შეიმუშავა ტექნიკური რეგლამენტის - „მაიონებელი გამოსხივების წყაროებთან მოპყრობისადმი რადიაციული უსაფრთხოების ნორმებისა და ძირითადი მოთხოვნების“ ცვლილების პროექტი ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს მოთხოვნების შესაბამისად;

ამდენად, რეგულირების სათანადო რეჟიმი მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს მარეგულირებელი ორგანოსთვის, უზრუნველყოს მაიონებელი გამოსხივების მავნე ზემოქმედებისაგან ადამიანისა და გარემოს ეფექტიანი დაცვა, კანონმდებლობით დაკისრებული ფუნქციების აღსრულების გზით.

ასევე, აღსანიშნავია, რომ ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს სამდივნოსა და პასუხისმგებელი ეროვნული უწყებების ჩართულობით, სააგენტოს ორგანიზებით, შემუშავდა საქართველოს 2022-2026 წლების ინტეგრირებული ბირთვული დაცულობის მხარდაჭერის გეგმა, რომელიც დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2022 წლის 19 ოქტომბრის № 1874 განკარგულებით.

ავტორიზაციის სამსახური


ბირთვული და რადიაციული საქმიანობების სახელმწიფო რეგულირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი კომპონენტია აღნიშნული საქმიანობის ავტორიზაცია, რომელიც გულისხმობს ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემას.

2022 წელს გაიცა ბირთვული და რადიაციული საქმიანობის 54 ლიცენზია, უარი ეთქვა - ერთ ორგანიზაციას, გაუქმდა 20 ლიცენზია.

ლიცენზიის მფლობელ 93 ორგანიზაციას მიეცა ლიცენზიის ფარგლებში საქმიანობის გაფართოების უფლება, რაც გულისხმობს სააგენტოს სპეციალისტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვას არსებული სიტუაციის რადიაციული უსაფრთხოებისა და ფიზიკური დაცულობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით და შესაბამისი დასკვნის მომზადებას. საქმიანობის გაფართოებაზე უარი ეთქვა - ერთ ორგანიზაციას.


ლიცენზიის ფარგლებში გაიცა 62 ნებართვა მაიონებელი გამოსხივების წყაროების იმპორტ-ექსპორტზე, ტრანზიტსა და შეძენა-გადაცემაზე.

ავტორიზაციის სტატისტიკური მონაცემები (2015-2022 წწ.)



საქართველოს კანონმდებლობისა და სალიცენზიო პირობების შესაბამისად ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ყოველწლიურად, პირველი აპრილიდან პირველ მაისამდე, სააგენტოს წარუდგინოს სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგება. 756 ლიცენზიის მფლობელმა ორგანიზაციამ დადგენილ ვადაში წარმოადგინა 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, ხოლო 130-მა ორგანიზაციამ ანგარიში არ წარმოადგინა კანონმდებლობით დადგენილი ვადაში.


ბირთვული და რადიაციული საქმიანობის სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგება (2017-2021წწ)




ინსპექტირებისა და რეაგირების სამსახური

ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ინსპექტირება კონტროლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმია. ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ავტორიზებული პირების მიერ საქმიანობის განხორციელებისას სალიცენზიო პირობების შესრულების კონტროლისა და ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების პირობების დარღვევის გამოვლენის მიზნით 2022 წლის გეგმური ინსპექტირების პროგრამის მიხედვით დაგეგმილი 240 ინსპექტირებიდან განხორციელდა 176 ინსპექტირება, აქედან 172 გეგმური და 4 არაგეგმური, როგორც სამედიცინო, ასევე არასამედიცინო პროფილის მქონე ობიექტებზე.


ინსპექტირების დინამიკა თვეების მიხედვით 2021-2022 წწ




ინსპექტირების ტიპი



ინსპექტირების განხორციელება საქმიანობის სფეროს მიხედვით



სამართალდარღვევების რაოდენობა




-) ჩატარებული ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შეუსაბამობა 41 ორგანიზაციაში, რაზედაც შედგენილი იქნა 66 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. გამოწერილი ოქმების ჯამურმა თანხამ შეადგინა 33 100 ლარი.
-) არაგემური ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა ორი არალიცენზირებული საქმიანობის ფაქტი.



-) გამოვლენილი სამართალდარღვევები განაწილდა შემდეგნაირად:


- 59² მუხლის 1 ნაწილით გამოიწერა 11 ოქმი (რადიაციულ უსაფრთხოების საკითხებში გადამზადების ვალდებულების დარღვევა);
- 59² მუხლის მე-2 ნაწილით გამოიწერა 31 ოქმი (საბუთების წარმოების წესის დარღვევა);
- 59² მუხლის მე-3 ნაწილით გამოიწერა 18 ოქმი (მონიტორინგის ხელსაწყოების გამოყენების ვალდებულების დარღვევა);
- 59² მუხლის მე-4 ნაწილით გამოიწერა 1 ოქმი (რადიაციული უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევა და პაციენტის დაუსაბუთებელი დასახივება);
- 59² მუხლის მე-6 ნაწილით გამოიწერა 3 ოქმი (საქმიანობის გაფართოების შესახებ შეტყობინების ვალდებულების დარღვევა);
- 59² მუხლის მე-8 ნაწილით გამოიწერა 2 ოქმი (არალიცენზირებული საქმიანობა)

სამართალდარღვევების დინამიკა 59² მუხლის ნაწილების მიხედვით




) გამოვლენილი დარღვევები ძირითადად ეხებოდა: ლიცენზიის მფლობელის მიერ ბირთვული და რადიაციულ საქმიანობისას დოკუმენტაციის წარმოების კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობას, ასევე რადიაციული უსაფრთხოების საკითხებში პერსონალის გადამზადების კანონმდებლობით დადგენილი ვადების დარღვევასა და ბირთვულ და რადიაციულ საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილების შესახებ შეტყობინების მარეგულირებელი ორგანოსათვის წარდგენის ვალდებულების დარღვევას.

2022-2021 წლის ინსპექტირებისას გამოვლენილ დარღვევებზე შედგენილი ოქმები /თვეების მიხედვით



ინსპექტირებისა და გამოვლენილი დარღვევების დინამიკა წლების (2019-2020-2021-2022) მიხედვით



2022 წელს ინსპექტირებისა და რეაგირების სამსახურის სპეციალისტების მიერ განხორციელდა რეაგირება რადიოაქტიური წყაროს უკანონო ბრუნვის აღკვეთის 3 ფაქტზე და 9 რეაგირება - რადიოლოგიურ ინციდენტზე საზღვრებზე, საგანგებო სიტუაციებზე და მოსახლეობის მომართვის საფუძველზე.



- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-2 კორპუსის ტერიტორიიდან ამოღებული და რადიოაქტიური ნარჩენების საცავში გადატანილ იქნა ერთი ერთეული РИД-6М-ტიპის კვამლის დეტექტორი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მერვე და მეოთხე კორპუსიდან ამოღებულ და რადიოაქტიური ნარჩენების საცავში უსაფრთხო შენახვის მიზნით გადატანილ იქნა შვიდი ერთეული რადიოაქტიური წყარო;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის სარდაფის N4 ოთახის შემოწმების შედეგად აღმოჩენილ იქნა დოზიმეტრიული ხელსაწყოები - ДП-5-ის ტიპის, საიდანაც მოხდა 7 ერთეული საკალიბრო რადიოაქტიური წყაროების გამოცალკევება. აღნიშნული წყაროები ამოღებულ და გადატანილი იქნა რადიოაქტიური ნარჩენების საცავში უსაფრთხო შენახვის მიზნით.
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის სარდაფის N4 ოთახიდან ასევე ამოღებული იქნა რადიოაქტიური წყაროს Ra-226-ის შემცველი მოწყობილობა და გადატანილ იქნა რადიოაქტიური ნარჩენების საცავში უსაფრთხო შენახვის მიზნით.
- წითელი ხიდის საკონტროლო გამშვებ პუნქტზე რეაგირების შედეგად სატვირთო ავტომობილის მისაბმელის წინა ნაწილის ცენტრში აღმოჩენილი იქნა რადიონუკლიდ Cs-137-ის შემცველი ერთი ერთეული ცილინდრული ფორმის ლატუნის მასიური ზოდი. აღნიშნული რადიონუკლიდი Cs-137-ის შემცველი ნივთი ამოღებული და გადატანილ იქნა რადიოაქტიური ნარჩენების საცავში უსაფრთხო შენახვის მიზნით.

2022 წლის განმავლობაში ინსპექტირებისა და რეაგირების სამსახურის სპეციალისტებმა განახორციელეს სააგენტოს დებულებით განსაზღვრული სერვისები - რადიომეტრიული გაზომვები, კერძოდ:

- საცხოვრებელი და მშენებარე ბინების, მიწის ნაკვეთების, სამშენებლო მასალის და სხვადასხვა სახის ნაკეთობების შემოწმება - 3
- შავი ლითონის ჯართის რადიაციული მონიტორინგი - 1
- საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით მიმავალი მე-7 კლასის ტვირთის მქონე სარკინიგზო ვაგონებზე განთავსებული კონტეინერების შემოწმება - 2

რადიაციული მონიტორინგი

მობილური ლაბორატორიის გამოყენებით ჩატარდა გარემოს რადიაციული მონიტორინგისთვის საჭირო რადიოლოგიური გაზომვები კახეთის რეგიონში, გაზომვების შედეგებმა გვაჩვენა, რომ ბუნებრივი რადიონუკლიდების რაოდენობა ნორმის ფარგლებშია.



რადიოაქტიური ნარჩენების მართვის დეპარტამენტი

საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტის მუშაობა ძირითად მიმართული იყო რადიოაქტიური ნარჩენების მართვის 2017-2031 წლების ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმისა და შესაბამისი საერთაშორისო პროექტების მიხედვით დასახული ღონისძიების განხორციელებაზე.

ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს პროექტი GEO/9/015 ფარგლებში განხორციელდა რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის ტერიტორიაზე არსებული მიწისქვეშა ავზების კვლევა უნგრელ ექსპერტებთან ერთად . კვლევის შედეგების დაყრდნობით შემუშავდა დეტალური ანგარიში, რომლის საფუძველზეც უნდა განისაზღვროს ქმედებები ავზების უსაფრთხოების ღონის გასაუმჯობესებლად.

ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს პროექტის - GEO/9/015 ფარგლებში ასევე განხორციელდა:

- მომწოდებლებთან მოლაპარაკების საფუძველზე, განისაზღვრა რადიოაქტიური ნარჩენების გადამამუშავებელი დანადგარების - მაკომპაქტირებელი და დამახარისხებელი ბოქსის ტექნიკური მონაცემები;
- მიღებული იქნა კასრში დამწნეხი (მაკომპაქტირებელი) მოწყობილობა;
- განისაზღვრა შენობის დიზაინი, სადაც უნდა განთავსდეს მაკომპაქტირებელი და დამახარისხებელი დანადგარები. ატომურ ენერჯის საერთაშორისო სააგენტოსთან წარმოებული მოლაპარაკებების საფუძველზე დაიწყო შესაბამისი შენობის კონსტრუირების სამუშაოები.
- საანგარიშო პერიოდში ევროკავშირისა და შვედეთის რადიაციული მარეგულირებელი ორგანოს (SSM) მიერ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში გაიმართა უცხოელი ექსპერტების მისია საქართველოში, სადაც შედგა ხარისხის მართვის პროგრამის გაუმჯობესების გეგმა. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ასევე, შედგა შვედი ექსპერტების ვიზიტი საქართველოში. ორგანიზირებული იქნა სპეციალური სამუშაო შეხვედრა, სადაც მოწვეული იქნენ წარმომდგენლები სხვადასხვა სამინისტროებიდან. შეხვედრაზე განხილული იქნა პროექტის შესრულების ამოცანები. აქვე ჩამოყალიბდა მოსახლეობასთან ურთიერთობის სამოქმედო გეგმის შემუშავების საკითხები.
- შვედეთის რადიაციული მარეგულირებელი ორგანოს (SSM) მხარდაჭერით განხორციელდა ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკულ მცენარეთა კვლევების ყოფილი ინსტიტუტის რადიაციულად დაბინძურებული ნიადაგის დროებითი შესანახების რადიოლოგიური შეფასება.

ბირთვული მასალების კონტროლი

ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელდა ბირთვული მასალების მფლობელი 7 ორგანიზაციის ინსპექტირება. ბირთვული მასალების აღრიცხვიანობაში დარღვევები არ გამოვლენილა.

2022 წლის მაისში ჩატარდა ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს გარანტიების დეპარტამენტის ინსპექცია ე.ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის ყოფილი რეაქტორის ტერიტორიაზე, რომლის დანიშნულება იყო ამ ობიექტზე წარდგენილი დოკუმენტაციის ვერიფიკაცია.

„ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით გარანტიების გამოყენების თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის და მისი დამატებითი ოქმის შესაბამისი ანგარიშები წარდგენილია ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პერიოდულობის მიხედვით.

ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს სპეციალისტების მიერ, ადამიანისა და გარემოს რადიაციისგან დაცვის მიზნით, ჩატარებული ღონისძიებების შედეგად მათ მიერ მიღებული დასხივების დოზები არ აღემატება დადგენილ მაჩვენებლებს.

სააგენტოს ნებისმიერი აქტივობა დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომია

ვებ-გვერდზე: www.anrs.gov.ge

